

დანართი 12

დამტკიცებული შპს ავიცენას საერთაშორისო

საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორის

2020 წლის 01 სექტემბრის № 01/22 ბრძანებით



შპს ავიცენას საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯის
საბიზნესოპერატორი, მატერიალური და საინფორმაციო რესურსების გამოყენების ზოგადი წესი

თბილისი
2020

1. წინამდებარე დოკუმენტი არეგულირებს შპს ავიცენას საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯის (შემდგომში დაწესებულება/კოლეჯი) თანამშრომლებისა და პროფესიული სტუდენტების/მსმენელების მიერ საბიბლიოთეკო, მატერიალურ-ტექნიკური და საინფორმაციო რესურსების დანიშნულებისამებრ გამოყენების ზოგად წესებს;
2. კოლეჯის თანამშრომელსა და პროფესიულ სტუდენტს/მსმენელს სამსახურეობრივი და სასწავლო მიზნით, უფლება აქვთ ისარგებლონ კოლეჯის საბიბლიოთეკო, მატერიალურ-ტექნიკური და საინფორმაციო საშუალებებით;
3. კოლეჯის საბიბლიოთეკო, მატერიალურ-ტექნიკური და საინფორმაციო რესურსებზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეული/პირი ვალდებულია შესაბამისი პირობები შეუქმნას თანამშრომლებსა და პროფესიულ სტუდენტებს/მსმენელებს სამსახურეობრივი მოვალეობების სრულყოფილად შესასრულებლად და სწავლების ეფექტურად და წარმატებით განსახორციელებლად;
4. კოლეჯი ვალდებულია უზრუნველყოს კომპიუტერული ტექნიკის გამართულ/მუშა მდგომარეობაში არსებობა და კომუნიკაციების, ინტერნეტ-რესურსების ხელმისაწვდომობა თანამშრომლებისა და პროფესიული სტუდენტების/მსმენელებისათვის;
5. პროფესიული სტუდენტი/მსმენელი უფლებამოსილია პროფესიული განათლების მასწავლებლის/ინსტრუქტორის ნებართვის საფუძველზე/პასუხისმგებლობის ქვეშ გამოიყენოს კოლეჯის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა/აღჭურვილობა მოდულით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად;
6. კოლეჯის თანამშრომელი სამსახურეობრივი მოვალეობის სრულყოფილად შესრულების მიზნით, უფლებამოსილია კოლეჯის მატერიალურ-ტექნიკურ და საინფორმაციო რესურსებზე პასუხისმგებელ სტრუქტურულ ერთეულს/პირს მიმართოს ზეპირსიტყვიერად ან საჭიროების შემთხვევაში, წერილობით;
7. კოლეჯის თანამშრომლებსა და პროფესიულ სტუდენტებს/მსმენელებს უფლება აქვთ ისარგებლონ საბიბლიოთეკო რესურსებით კოლეჯის „ბიბლიოთეკის სარგებლობის წესის“ შესაბამისად;
8. კოლეჯის თანამშრომლები და პროფესიული სტუდენტები/მსმენელები უფლებამოსილნი არიან ლექციებს შორის შესვენების ისარგებლონ კოლეჯის ფოიეთი;
9. კოლეჯის პროფესიული განათლების მასწავლებელს საშუალება აქვს ისარგებლოს სამასწავლებლოთი;
10. საარქივო სივრცით სარგებლობასა და დოკუმენტაციის საარქივო წესით დაარქივებაზე პასუხისმგებელ პირად განსაზღვრულია კოლეჯის საქმისწარმოებისა და პერსონალის მართვის სამსახური;
11. კოლეჯის თანამშრომლებსა და პროფესიულ სტუდენტებს/მსმენელებს შეუძლიათ ისარგებლონ კოლეჯის კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვილი ბიბლიოთეკითა და ინტერნეტ რესურსებით, შინაგანაწესით დადგენილ სამუშაო საათებში;
12. პროფესიულ სტუდენტებსა და მსმენელებს შესაძლებლობა აქვთ ინტერნეტის მეშვეობით მოიძიონ სასწავლო ინფორმაცია, გადმოწერონ და გადაწერონ ინფორმაციის მატარებლებზე, შეასრულონ პრაქტიკული დავალებები როგორც ინდივიდუალურად, ასევე ჯგუფურად;
13. აკრძალულია კოლეჯის თანამშრომლებთან შეთანხმების გარეშე პროგრამების ინსტალაცია, გასართობი და სხვა არასასწავლო, არასაგანმანათლებლო საიტების გამოყენება, რაც არ არის დაკავშირებული კოლეჯის პერსონალის სამუშაოსთან ან/და საგანმანათლებლო საქმიანობასთან. აგრეთვე, არამიზნობრივად, ე.წ. ჩატიხა და მსგავსი ინტერნეტ მომსახურების გამოყენება;

14. დაუშვებელია მესამე პირების მიერ კოლეჯის კომპიუტერული ტექნიკითა და პროგრამებით სარგებლობა;
15. ტექნიკის დაზიანების ან პროგრამული ხარვეზის შემთხვევაში, თითოეული თანამშრომელი/პროფესიული სტუდენტი/მსმენელი ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს პრობლემა კოლეჯის ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურს;
16. ყოველი სამუშაო დღის დასრულების შემდეგ, რეკომენდებულია კომპიუტერისა და მასთან მიერთებული პერიფერიული მოწყობილობების გამორთვა;
17. კოლეჯის საოფისე/სასწავლო აუდიტორიის ტექნიკის დაკარგვის შემთხვევაში, თანამშრომელი ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს დაწესებულების ადმინისტრაციას;
18. აკრძალულია კომპიუტერის ან მისი რომელიმე ნაწილის სხვა პირზე გადაცემა და კომპიუტერზე დამატებითი, შიდა და პერიფერიული მოწყობილობების მიერთება, კომპიუტერული და სხვა საკომუნიკაციო ტექნიკის დემონტაჟი და სხვა ადგილას გადატანა კოლეჯის ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლის ნებართვის გარეშე;
19. ინტერნეტი წარმოადგენს კოლეჯის საქმიანობის წარმართვისათვის აუცილებელ ინსტრუმენტს. იგი მიეწოდება ყველა თანამშრომელს და მისი გამოყენება ნებადართულია მხოლოდ საჭიროებისამებრ;
20. კოლეჯის ინტერესებიდან გამომდინარე, კოლეჯის ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახური ვალდებულია საჭიროების შემთხვევაში შეზღუდოს სოციალური ქსელების მოხმარება და დირექციის მიერ დაწესებულ სხვა აკრძალულ ინტერნეტ რესურსებზე წვდომა;
21. აკრძალულია გაცნობის, გასართობი, სათამაშო, აზარტული და მსგავსი ტიპის ვებგვერდების გამოყენება, აუდიო და ვიდეო ფაილების გადმოწერა, რომლებიც არ არის პირდაპირ კავშირში კოლეჯის საქმიანობასთან;
22. მიუხედავად ანტივირუსის არსებობისა, ყველა მომხმარებელი ვალდებულია გაუხსნელად წაშალოს საეჭვო, უცნობი გამომგზავნის მისამართიდან მიღებული ელექტრონული ფოსტა;
23. კოლეჯის ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახური პასუხისმგებელია არსებული პრობლემის დროულად მოგვარებაზე;
24. თანამშრომლები და პროფესიულ სტუდენტები/მსმენელები ვალდებულნი არიან არ დააზიანონ კოლეჯის ტექნიკა და ინვენტარი, გამოყენების შემდეგ გამორთონ კომპიუტერები, დაიკვან სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები კომპიუტერულ ტექნიკასთან მუშაობის დროს;
25. ტექნიკისა და ინვენტარის განზარახ დაზიანების შემთხვევაში, ანაზღაურება მოხდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.